



# საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020189359694221

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

# 22/938

26 / თებერვალი / 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადანყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგინეთ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. სიქთარვას მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (1 100 000 მ<sup>3</sup>/წელიწადში, კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის) სკრინინგის განცხადებას (ID\_19271\_50996, 22.01.2021 წ.).

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 118 მეტრის სიმაღლეზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. სიქთარვას მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.


„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადანყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ. shape ფაილი

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი									
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი – თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სიქთარვას მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება.									
2	წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მდებარეობა									
2.1	რეგიონი – იმერეთი									
2.2	მუნიციპალიტეტი – თერჯოლა									
2.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფ. სიქთარვა									
2.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – ქ. თერჯოლიდან დაახლოებით 7-8 კმ.									
2.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან – აღემატება 10 კილომეტრს									
2.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. ყვირილას აუზი									
2.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები –  <table border="1" data-bbox="343 828 678 940"> <tr> <td>N</td> <td>X</td> <td>Y</td> </tr> <tr> <td>1</td> <td>328076.2372</td> <td>4671262.2420</td> </tr> <tr> <td colspan="3">WGS 1984</td> </tr> </table> 	N	X	Y	1	328076.2372	4671262.2420	WGS 1984		
N	X	Y								
1	328076.2372	4671262.2420								
WGS 1984										
2.8	ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 118 მ.									
2.9	კლიმატური პირობები – რაიონის კლიმატი ცვალებადი-ტენიანია, ახლოა სუბტროპიკულთან. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს +12.2°C-დან +14.4°C-მდე. მაქსიმალური ტემპერატურა აღინიშნება ივლისში და აღწევს +40°C-ს. ზამთარი შედარებით თბილია, საშუალო ტემპერატურა ნულს ქვემოთ (-2°C-მდე) აღინიშნება იანვარში.									
3	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები									
3.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან –									
3.2	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –									
3.3	დამატებითი მონაცემები –									
4	სატყეო რესურსები									
4.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება									
4.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება									
4.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –									
5	წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოლოგიური პოზიცია									
5.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) ჰიდროგეოლოგიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით – ფოროვანი, ნაპრადური და ნაპრადურ-კარსტული წყლების არგვეთის არტეზიული აუზი.									

5.2	წყალშემცველი პორიზონტი – თანამედროვე ალუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსი, სადაც წყალშემცველებად ითვლებიან ქვიშისა და ქვიშნარის შემავსებლიანი კაჭარ-კენჭნარები და კენჭნარები. აღნიშნული ნალექების სიმძლავრე მერყეობს 5-20 მეტრიდან (ყვირილას დეპრესია) 300 მეტრამდე (რიონის დაბლობი).
5.3	ცალკეული ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მონაცემები (სიღრმე, კაპტაჟი) – წყალშემკრები ჭის სიღრმე უცნობია.
6	მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი დახასიათება
6.1	ქიმიური შედგენილობა – ქიმიური შედგენილობით წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატული კალციუმიანი და კალციუმიან-ნატრიუმიანი, იშვიათად ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული კალციუმიანი და ნატრიუმიანი ტიპისაა. მინერალიზაცია არ აღემატება 0.5 გ/ლ-ს. საერთო სიხისტე ცვალებადობს 1.8-დან 8.0 მგ/ეკვ, ჭარბობს კარბონატული. pH 6-7.6
6.2	სანიტარული მდგომარეობა – პორიზონტის წყლების სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.
6.3	ტემპერატურა – 12-18°C
6.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) – ტერიტორია შესწავლილია საძიებო სამუშაოების დონეზე.
6.5	წიაღითსარგებლობის ობიექტის შესწავლის ხარისხი – სალიცენზიო წყალშემკრები ჭის ზუსტი დებიტი უცნობია, მაგრამ პორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, მოთხოვნილი 1100000 მ <sup>3</sup> /წელიწადში რაოდენობის წყლის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით.
6.6	მიწისქვეშა წყლების გამოყენების სფერო (ფაქტიური და შესაძლო) – წყლის გამოყენება შესაძლებელია კომუნალური და სოფლის წყალსაღებებისათვის.
6.7	სალიცენზიო პირობები წიაღით (წყალი) სარგებლობისთვის –
6.8	დამატებითი მონაცემები – <ol style="list-style-type: none"> <li>ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე;</li> <li>მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა;</li> <li>უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა;</li> <li>ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი.</li> </ol>
7	წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
7.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – სალიცენზიო ობიექტი (წყალშემკრები ჭა) მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე მდინარე ჩოლაბურის მარჯვენა ჭაღისზედა I ტერასაზე. ობიექტის ტერიტორია პორიზონტალური რელიეფის მქონეა, ურბანიზებულია და ათვისებულია სამეწარმოდ გათვალისწინებული სამუშაოების გამოყენების მიზნით.
7.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – სალიცენზიო ობიექტის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექები. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.

7.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია – არ ფიქსირდება.
7.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გართულებები – არ არის მოსალოდნელი.
7.5	გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – არ საჭიროებს.
7.6	დასკვნები და რეკომენდაციები – <ol style="list-style-type: none"> <li>1. სალიცენზიო ობიექტი (წყალშემკრები ჭა) მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სიქთარვას მიმდებარე ტერიტორიაზე;</li> <li>2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას;</li> <li>3. სალიცენზიო ობიექტზე მოწეობილია (წყალშემკრები ჭა) თავმორთულობა, რაც უნდა შენარჩუნდეს ექსპლუატაციის მანძილზე;</li> <li>4. ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე; მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა; უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი პიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;</li> <li>5. ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში, ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა;</li> <li>6. აღნიშნული რეკომენდაციების (პუნქ. 3,4,5) გათვალისწინებით, წყალშემკრები ჭიდან წყლის მოპოვება დასაშვებია.</li> </ol>
8	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდვური მასალა
8.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – ი. მიქაძე, ვ. ყორშია, უ. ჭიპაშვილი და სხვ.
8.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – ქ. თბილისი, 1980 წ.
8.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 15262

შემსრულებლები:

ს. მკალავიშვილი, ნ. ჩომახიძე, ა. ქემოკლიძე, მ. ქიმუცაძე, გ. ბუცხრიკიძე ი. რობაქიძე

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის მართვის  
 დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ნალათაშვილი